დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 9

ქ. დმანისი 24 სექტემბერი 2024 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. გამლეტ ისმაილოვი
5. ილია სარსევანიძე
6. მურაზი აბრამიშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. სოფიო ასლამაზაშვილი
11. შახინ კოიალოვი
12. შოთა აკობაშვილი
13. მიხეილი დაუთაშვილი
14. სტამბულ ისაევი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. ნატიგ ოვჩიევი
17. კახა ოქრიაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი , საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 12. 15

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**

3	**განკარგულება:** ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №გ-109.109240598 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ. აბრამიშვილი**

4	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109.109240252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (სარგებლობის უფლებით) იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის „ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის #გ-109.109240253 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აგვისტოს #გ-109.109242396 განკარგულების საფუძველზე განხორციელდეს ცვლილება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ პროექტებში. კერძოდ:

1) ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან 0,5 ათასი ლარი გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 06_02_04 „სარიტუალო მომსახურება“-ს „სოციალური მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1,0 ათასი ლარის განისაზღვროს 1,5 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

2) ორგანიზაციული კოდი 06_01_01 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუვნელყოფა“-ს „სუბსიდია“-ს მუხლიდან 22,4 ათასი ლარი გადატანილ იქნას ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი

განისაზღვროს 22,4 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი);

3) ორგანიზაციული კოდი 01_02_04 „თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან 0,1 ათასი ლარი გადატანილ იქნას ამავე კოდის „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 94,2 ათასი ლარის განისაზღვროს 94,1 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

4) ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მხარდაჭერის ღონისძიებები“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან 9,0 ათასი ლარი გადატანილ იქნას ამავე კოდის „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 676,4 ათასი ლარის განისაზღვროს 667,4 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

5) ორგანიზაციული კოდი 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია - რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 33,9 ათასი ლარით, ხოლო ორგანიზაციული კოდი 02_04_02 „ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლი შემცირდეს 49,9 ათასი ლარით და აღნიშნული შემცირებული თანხა, ჯამში 83,8 ათასი ლარი განაწილდეს შემდეგნაირად :
   - ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 20,8 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 193,2 ათასი ლარის განისაზღვროს 214,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
   - ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 43,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.047,4 ათასი ლარის განისაზღვროს 1.090,4 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
   - ორგანიზაციული კოდი 06_02_06 „ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი გაიზარდოს 20,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 190,2 ათასი ლარის განისაზღვროს 210,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

6) ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან 20,0 ათასი ლარი გადატანილ იქნას ამავე კოდის „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 282,9 ათასი ლარის განისაზღვროს 302,9 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

7) ორგანიზაციული კოდი 02_07 „საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან 11,5 ათასი ლარი გადატანილ იქნას ამავე კოდის „სხვა ხარჯები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 20,5 ათასი ლარის განისაზღვროს 32,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **34 010,4** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა , ოლეგი გოშუანმა.
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 17
წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება „დმანისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესი", რომელიც განსაზღვრავს განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების მინიჭების და ჯილდოს შემოღების და გადაცემის მექანიზმის სამართლებრივ საფუძვლებს და მისი განხილვის პროცედურებს.

ამავე პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „დმანისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" მოქმედი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 ივლისის N36 დადგენილება.

მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა პირველის მუხლი - ზოგადი დებულების მე-3 პუნქტი და ამ მუხლს დაემატა მე-4 და მე-5 პუნქტები. აგრეთვე, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი. (ჩაემატა გარდაცვლილის შემთხვევაში საჭირო დოკუმენტაცია) და ხელახლა გაიწერა წოდების მინიჭებისა და ჯილდოს შემოღების პროცედურები, (გაერთიანდა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მუხლი 4 და მუხლი 5 პუნქტები).

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება გავლენას არ მოახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ან შემოსავლებზე.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის, ან ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთანავე „დმანისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 ივლისის N36 დადგენილება.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა , კახა ოქრიაშვილმა .
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 17
წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი: მურაზი აბრამიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №გ-109.109240598 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სოფ გუგუთში შეიცვალა პროექტის დასახელება და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად „სოფლის სასაფლაოს შემოღობვა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია". ვინაიდან სოფ გუგუთში სკვერის მოსაწყობად ადგილი ვერ მოიძებნა, შეიცვალა სამუშაოები სოფლის კრებით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 17

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109.109240252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109.109240252 განკარგულების დანართი 1–ში და დაემატოს ერთი ობიექტი:

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა კვ.მ	საბაზრო ღირებულება (ლარში)	აუქციონის ფორა (უპირობო/პირობიანი)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი	შენიშვნა
1	სასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. საფარლო	82.15.41.637	305		8855	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 17

წინაღმდეგი:

5.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (სარგებლობის უფლებით) იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს მობილური კავშირგაბმულობის კომპანია შპს ,,მაგთიკომს'', ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა №56-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4538,00

კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.01.46.081) განთავსებული 2035,00 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული 3,00 კვ.მ ფართი, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 1 (ერთი) წლის ვადით და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 6600 (ექვსიათასექვსასი) ლარი წელიწადში.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 17

წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი